



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030178396018114

№ 01-40/თ

14 / თებერვალი / 2014 წ.

„კარდიოვასკულურ დაავადებათა მართვა ორსულობის დროს“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ<sup>1</sup>“ და „კ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს:

- ა) კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - „კარდიოვასკულურ დაავადებათა მართვა ორსულობის დროს“ - თანდართული რედაქციით (დანართი N1);
- ბ) დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - „კარდიოვასკულურ დაავადებათა მართვა ორსულობის დროს“ - თანდართული რედაქციით (დანართი N2).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დიმიტრი მახათაძე